PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

PLITONIT ეპოქსიდური ნადების საწმენდი

გამოიყენება ეპოქსიდური და ცემენტის ნადების მოსაშორებლად. იდეალურია ეპოქსიდური შემავსებლის ნარჩენებისა და ლაქების მოსაშორებლად. გამოიყენება კერამიკულ ფილებზე, კერამიკულ მოზაიკაზე, კლინკერზე, ფასადის ფილებზე, ხელოვნურ ქვებზე.

დაფასოება: 500 მლ

PLITONIT-ის ეპოქსიდური ნადების საწმენდთან მუშაობის უპირატესობები და სარგებელი

- არ ცვლის საფარის თავდაპირველ იერს – სამუშაოების მიღების გარანტია;
- მოსახერხებელი შეფუთვა პულვერიზატორით - წმენდის სიმარტივე და სიჩქარე;
- 500 მლ ხსნარი საკმარისია 10 m^2-მდე გასაწმენდად, ეკონომიური ხარჯი;
- შეიძლება გამოყენებული იქნას მათ შორის ნებისმიერი ცემენტის ნადების მოსაშორებლად – გამოყენების უნივერსალურობა;
- გადაწყვეტის სისტემურობა ეპოქსიდური შემავსებლით PLITONIT Colorit Easy Fill-ით
- ვარგისიანობის ვადა – 3 წელი

მასალის ხარჯი

50, 100 მლ m^2-ზე დაბინძურებიდან გამომდინარე.

მუშაობის წესი

საშუალების გამოყენება შეიძლება შემავსებლის წასმიდან არანაკლებ 24 საათის შემდეგ. წაუსვით საწმენდი ზედაპირს საფრქვეველის, ფუნჯის ან ღრუბლის საშუალებით. დატოვეთ 5-15 წუთით, შემდეგ გაწმინდეთ სველი ღრუბლით და ჩამორეცხეთ წყლით. დაუშვებელია წასმული საშუალების სრულ გაშრობამდე დატოვება, ამან შეიძლება, გამოიწვიოს შემავსებლის ფერის შეუქცევადი შეცვლა.

ყურადღება!

არ გამოიყენოთ ბეტონზე, მჟავის მიმართ არამდგრად ზედაპირებსა და ფილებზე, ასევე კირის შემცველ ბუნებრივ და ხელოვნურ ქვებზე. გამოყენებამდე შეამოწმეთ საშუალების გამოყენების დასაშვებობა შეუმჩნეველ მონაკვეთზე. საშუალება სახიფათოა ლითონისთვის!

უსაფრთხოების ზომები. ფრთხილად

- კანზე მოხვედრისას იწვევს გაღიზიანებას. თვალში მოხვედრისას იწვევს გამოხატულ გაღიზიანებას.
- მოერიდეთ ორთქლის/აეროზოლის შესუნთქვას.

- მუშაობისას გამოიყენეთ ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი, თვალის დამცავი საშუალებები.
- სამუშაოს შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები, სახე.
- კანზე მოხვედრის შემთხვევაში ჩამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით, თუ გაღიზიანება არ გაივლის, მიმართეთ სამედიცინო დახმარებისთვის.
- თვალში მოხვედრის შემთხვევაში: ფრთხილად ამოიბანეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ იყენებთ მათ და თუ ეს ადვილია, და გააგრძელეთ თვალების ამობანა. თუ თვალების გაღიზიანება არ გაივლის, მიმართეთ სამედიცინო დახმარებისთვის.
- გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გამორეცხეთ ხელახალ გამოყენებამდე. მოარიდეთ ბავშვებს!

შემადგენლობა

წყალი, მარილმჟავა 5-15%, არაიონოგენური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები <5%, ფუნქციონალური დანამატი.

შენახვის პირობები

მშრალ, გრილ ადგილას, მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შენახვისას დასაშვებია გაყინვის სამ ციკლამდე, გალღობის შემდეგ ინარჩუნებს თავის თვისებებს. გაყინვის შემდეგ, გამოყენებამდე, აუცილებელია ოთახის ტემპერატურაზე დაყოვნება სრულ გალღობამდე, ხელოვნური გახურების გარეშე. მწარმოებლის გაუხსნელ ტარაში შენახვის ვადა - 36 თვე დამზადების დღიდან.

ლოგისტიკური ინფორმაცია

ინდივიდუალური შტრიხკოდი	4607013046894	
ჯგუფური შტრიხკოდი	14607013046891	
ფლაკონების რაოდენობა კოლოფში	12 ც. ფლაკონების რაოდენობა პალეტზე	576 ც.